კათოლიკე ეკლესიის
კალენდარი
წელი უფლისა

2021

ითარგმნა და დაიბეჭდა
მეუფე ჯუზეპე პაზოტოს
ლოცვა–კურთხევით

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრაცია

წმიდა წერილის წიგნთა სახელების შემოკლებანი

ძველი აღთქმა

დაბ - დაბადება
გამ - გამოსვლა
ლევ - ლევიანნი
რიცხ - რიცხვთა
რჯლ - მეორე რჯული
იესო - იესო ნავეს ძე
მსჯ - მსაჯულნი
რუთ - რუთი
1მეფ - პირველი მეფეთა
2მეფ - მეორე მეფეთა
3მეფ - მესამე მეფეთა
4მეფ - მეოთხე მეფეთა
1ნეშტ - პირველი ნეშტთა
2ნეშტ - მეორე ნეშტთა
1ეზრ - პირველი ეზრა
ნეემ - ნეემია
ესთ - ესთერი
იობ - იობი
ფს - ფსალმუნნი
იგ - იგავნი სოლომონისა
ეკლ - ეკლესიასტე
ქებ - ქებათა-ქება
ეს - ესაია წინასწარმეტყველი
იერ - იერემია წინასწარმეტყველი
გოდ - გოდება იერემიასი
ეზეკ - ეზეკიელ წინასწარმეტყველი
დან - დანიელი
ოს - ოსია წინასწარმეტყველი
იოელ - იოელ წინასწარმეტყველი
ამ - ამოს წინასწარმეტყველი
აბდ - აბდია წინასწარმეტყველი
იონ - იონა წინასწარმეტყველი
მიქ - მიქა წინასწარმეტყველი
ნაუმ - ნაუმ წინასწარმეტყველი
აბაკ - აბაკუმ წინასწარმეტყველი
სოფ - სოფონია წინასწარმეტყველი
ანგ - ანგია წინასწარმეტყველი
ზაქ - ზაქარია წინასწარმეტყველი
მალ - მალაქია წინასწარმეტყველი
1მაკ - პირველი მაკაბელთა
2მაკ - მეორე მაკაბელთა
3მაკ - მესამე მაკაბელთა
4მაკ - მეოთხე მაკაბელთა
ბარ - ბარუქ წინასწარმეტყველი
2ეზრ - მეორე ეზრა
3ეზრ - მესამე ეზრა
ივდ - ივდითი
ეპ. იერ. - ეპისტოლე იერემიასი
სიბრძ - წიგნი სიბრძნისა
ზირ - სიბრძნე ზირაქისა
ტობ - ტობითი

ახალი აღთქმა

მთ - მათეს სახარება
მარ - მარკოზის სახარება
ლკ - ლუკას სახარება
იო - იოანეს სახარება
საქმ - საქმე მოციქულთა
რომ - რომაელთა მიმართ
1კორ - 1 კორინთელთა
2კორ - 2 კორინთელთა
გალ - გალატელთა მიმართ
ეფ - ეფესელთა მიმართ
ფილიპ - ფილიპელთა მიმართ
კოლ - კოლასელთა მიმართ
1თეს - 1 თესალონიკელთა მიმართ
2თეს - 2 თესალონიკელთა მიმართ
1ტიმ - 1 ტიმოთეს მიმართ
2ტიმ - 2 ტიმოთეს მიმართ
ტიტ - ტიტეს მიმართ
ფილიმ - ფილიმონეს მიმართ
ებრ - ებრაელთა მიმართ
იაკ - წმ. იაკობის წერილი
1პეტ - წმ. პეტრეს I წერილი
2პეტ - წმ. პეტრეს II წერილი
1იო - წმ. იოანეს I წერილი
2იო - წმ. იოანეს II წერილი
3იო - წმ. იოანეს III წერილი
იუდ - წმ. იუდას წერილი
გამოცხ - გამოცხადება

1 იანვარი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ, [ს],თ

(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა ხახულელნი

2021 პარასკევი

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

მარიამი კი ინახავდა ყოველივე ამ სიტყვას და გულში სწონიდა მათ ლკ 2,19

მადლობა ვუთხრათ მარიამს, ნამდვილი ადამიანისა და ნამდვილი ღმერთის – იესოს დედას. იგი, მდუმარე და რწმენით, თავმდაბლობითა და სიყვარულით სავსე ქალი, გვეხმარება მივბაძოთ მას ამ სიქველეებში, გულებში ღვთის სიტყვისა და ჩვენს ცხოვრებაში მისი ნამოქმედარის ხსოვნის დაცვით – არ მოგვაკლდება შემწეობა მისი ნების აღსასრულებლად.

2 იანვარი

2021

შობის ჟამი [ს], თ
წმ. ბასილ დიდი, +379, და
წმ. გრიგოლ ნაზიანზელი +390, ეპ. და მოძ. (მ)

შაბათი

1იო 2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

შვილებო, დარჩით მასში 1იო 2,28

იესო ქრისტეში დარჩენის ერთ-ერთი გზაა ყოვლად-წმიდა მარიამის მიბაძვა, რომელიც გულმინ ვიხილეთ, როგორ ინახავდა და ისიგრძეგანებდა თავის გულში ყოველივე იმას, რაც ეხებოდა იესოს შემოსვლას მის ცხოვრებაში. დარჩე იესოში ნიშნავს, იცხოვრო მასზე ორიენტირებულმა. ასეთ შემთხვევაში, იოანე ნათლისმცემლისაგან ჩემკენ გადმომისამართებულ კითხვაზე, „ვინა ხარ შენ?“, შემეძლება სიხარულით ვუპასუხო: „ვარ იესოსი, იესოსთან და იესოში“.

3 იანვარი

II კვირადღე შობის შემდეგ, «ბ», [II], თ

2021 კვირა

ზირ 24,1-2.8-12; ფს 147; ეფ 1,3-6.15-18; იო 1,1-18

ყველამ მივიღეთ მადლი მადლისა წილ იო 1,16

თუ დავუფიქრდებით, მდუმარებაში და ლოცვით, დავინახავთ ამ სიტყვათა ჭეშმარიტებას. ნიჭი, გწამდეს იესო, მისი ეკლესიისათვის ჩაბარებულ საიდუმლოთა ნიჭი, ღვთის შვილებად და ერთუ-რთის და-ძმებად ცხოვრების ნიჭი,... ყოველივე ეს ის მადლია, რასაც იესო გვიწვდის ყოველ დღე. მადლობა, უფალო იესო.

4 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

2021 ორშაბათი

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

სიმართლის მოქმედი მართალია, როგორც ის (იესო) არის მართალი 1იო 3,7

მეგონა, რომ სიმართლის ქმედება, სამართლიანობა, იყო ყოველივეს სწორად კეთება. რაკი ვერასოდეს ვახერხებდი ყოველივეს კარგად კეთებას, ხში-რად მეუფლებოდა სევდა და მიტყდებოდა გული. ერთხელ სულიერ კურსებზე მქადაგებელმა ამიხსნა, რომ „მართალი“ ისაა, ვინც სწორ ადგილას დგას ღმერთის წინაშე: ანუ, ვინც მის ნებას ასრულებს თავმდაბლად, როგორც ის შვილი, რომელიც უყვა-რთ, ეძებენ, წარმართავენ.
იესო, ძეო მხოლოდშობილო, შენ შემოგაქვს ჩემს ცხოვრებაში ნამდვილი სიმართლე: მადლობა!

5 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

2021 სამშაბათი

1იო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

ვისაც არ უყვარს, სიკვდილში რჩება 1იო 3,14

იესოზე დაკვირვებით, როგორც სახარებაშია ნაჩვენები, სულიწმიდის შემწეობით აღმოვაჩენთ, თუ რას ნიშნავს „სიყვარული“. მასთან ყოფნით, დამყოლი სმენით, ვღებულობთ ნამდვილი სიყვარულის ძალას და უნარს.
მადლობა, იესო, ნამდვილი ცხოვრების დაუშრეტელო წყაროვ, სიკვდილის დამთრგუნველო!

6 იანვარი

2021

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

ოთხშაბათი

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური მთ 2,11

დღეს ვუმზერთ იესოს, ყველა ხალხებს რომ ეცხადება იმ მოგვებში, რომლებიც მოდიან მასთან და სიხარულით გადავსებულნი თაყვანსა სცემენ და უძღვნიან სიმდიდრეს, პატივსა და დიდებას. იესოს თაყვანისცემითა და მისთვის სიცოცხლის ერთგულად მიძღვნით, მეც და შენც შეგვიძლია განვუცხადოთ იგი ყველას, ვისაც შევხვდებით.

7 იანვარი

2021

შობის II კვირა, [ს], თ

წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, მღვ. +1275

ხუთშაბათი

1იო 3,22-4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მოექეცით, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი მთ 4,17

მოქცევა – იესოს სიტყვისათვის კარის გასახსნელად აზროვნებისა და ქმედების შეცვლა –, ის მოწვევაა, რომელსაც ხშირად ვგრძნობდი. ამგვარად, გადავწყვიტე დღის განმავლობაში მდუმარების წუთებში ან ისეთი სამუშაოს დროს, გულისყურის მოკრებას რომ არ მოითხოვს ჩემგან, გავიხსენო ღვთის რომელიმე სიტყვა, თუნდაც ამ კალენდრიდან. ვმადლობ იესოს ამ ცვლილებისათვის, რომელსაც ახდენს ჩემში და რომელიც საშუალებას მაძლევს მის გვერდით ვიყო.

8 იანვარი

შობის II კვირა, [ს], თ

2021 პარასკევი

1იო 4,7-10; ფს 71; მარ 6,34-44

თქვენ თვითონ მიეცით საჭმელი მარ 6,37

მოწაფეები ისმენენ იესოსგან იმას, რისი გაკეთებაც სრულებით არ ეგონათ რომ შედიოდა მათ ვალდებულებებსა და შესაძლებლობებში: „თქვენ თვითონ მიეცით საჭმელი“. მართებთ ეს ვინაიდან მათი ღმერთი „სიყვარულია“, ძალუძთ ამის გაკეთება, ვინაიდან თავად იესო ეძლევა მათ ხელთ, როგორც სიცოცხლის პური, როგორც მამის ძღვენი სრულიად კაცობრიობისათვის.

9 იანვარი

2021

შობის II კვირა, [ს], თ

(27. XII) ღირსი სტეფანე ხირსელი,
13 ასურელ მამათაგანი (VIს)

შაბათი

1იო 4,11-18; ფს 71; მარ 6,45-52

ნავში ჩაუჯდა მათ
და ქარიც ჩადგა მარ 6,51

რამდენჯერ ჩავარდნილვარ გასაჭირში და მინახავს გასაჭირში მყოფი ხალხი! გმადლობ, იესო, რომ მუდამ ჩვენთან და ჩვენთვის იყავი და იმ გარემოებებში შემეძლო მეთხოვა შენთვის დახმარება, მათთან ერთადაც. შენი ერთგული სიახლოვე ჩვენს ლოცვაში შეგვეწია. მადლობა შენდა!

10 იანვარი

უფლის ნათლისღება «ბ», დ, [ს], თ

2021 კვირა

ეს 55,1-11; ფს: ეს 12,2.4ბ-6; 1იო 5,1-9; მარ 1,7-11

შენა ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელიც შევიტკბე მე მარ 1,11

იესო სთხოვს იოანეს, მომნათლეო ცოდვილთა დარად და, აი, ზეციდან გაისმა მამის ხმა, რომელიც აჟღერებს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს. მამა კმაყოფილია იესოთი, ვინაიდან იგი მუდამ სიყვარულით ასრულებს მის ნებას. ამგვარად ჩვენ, ქრისტიანები სიხარულს მოვგვრით მამას, თუკი იესოს მიბაძვით ვიცხოვრებთ შვილებივით.

11 იანვარი

რიგითი I კვირა [I], მწ - კენტი წელიწადი

2021 ორშაბათი

ებრ 1,1-6; ფს 96; მარ 1,14-20

და მაშინვე მოუხმო მათ მარ 1,20

იესო მუდამ ლოცვაშია, მამისადმი მიპყრობილი სასმენელით და მასთან ერთად სიყვარულით უმზერს ყოველივესა და ყველას. იგი ეძებს იმათ, ვინც მზადაა ითანამშრომლოს მასთან მისი სასუფევლისათვის. როდესაც ესა თუ ის ადამიანი გახდება ქრისტიანი, მოხმობილია სწორედ ამგვარი თანამშრომლობისათვის.
სულო წმიდაო, მადლობა, რომ შეგვეწევი, მივსდი-ოთ იესოს, მუდამ მის განკარგულებაში ვიყოთ.

12 იანვარი

2021 სამშაბათი

ებრ 2,5-12; ფს 8; მარ 1,21-28

მისი ამბავი კიდით-კიდემდე მოედო მთელი გალილეის მხარეს

მარ 1,28

იესო დადიოდა სინაგოგაში, სადაც ებრაელები
იკრიბებოდნენ ღვთის სიტყვის მოსასმენად. აქ ერთ
შაბათ დღეს, როდესაც იგი განმარტავდა ამ სიტყვას,
ერთი კაცისაგან განდევნა უწმიდური სული და
ის ადამიანი გათავისუფლდა. ყველა განცვიფრდა,
იმითაც, რომ იგი მოძღვრავდა ახლებურად, ლამაზად,
ასხივებდა ღვთისადმი სასოებასა და მშვიდობას:
ამგვარად გაუვარდა მას სახელი.
მადლობა, იესო, რომ დღესაც იმყოფები
შენს ეკლესიაში.

13 იანვარი

2021

რიგითი I კვირა [I], მწ
(31.XII) წმ. ღირსი დედა საბაია, აბადესა (XI);
წმ. ილარიონი, ეპ. და ეკლ. მოძღ., +367

ოთხშაბათი

ებრ 2,14-18; ფს 104; მარ 1,29-39

იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

ყველა შენ გეძებს მარ 1,37

იესო, ბეთლემში ღარიბად დაბადებული, დამჯერ შვილად რომ იცხოვრა ნაზარეთში, შეუდგა თავისი მისიის აღსრულებას. დადის ქალაქიდან ქალაქში, დროს არა კარგავს, ძალღონეს არ იშურებს; სურს ყველას მიაწვდინოს მამის სიყვარულის სასიხარულო ამბავი. მისი ძალა ლოცვაშია. ამის გამო ყველა ეძებს მას. ვერავის ექნება ნამდვილი სიცოცხლე მის გარეშე.

14 იანვარი

რიგითი I კვირა [I], მწ

2021 ხუთშაბათი

ებრ 3,7-14; ფს 94; მარ 1,40-45

იესო გარეთ, უდაბნო ადგილებში იმყოფებოდა მარ 1,45

იესოს მიერ კეთროვნის განკურნების ამბის გახმაურება, ამის შედეგად ცნობისწადილის მოზღვავება, და თუნდაც ხალხის შიში, რომ იესო წაბილწულიყო კეთროვნის შეხების გამო, აიძულებს იესოს რაღაც პერიოდი გარეთ დარჩეს, უდაბურ ადგილებში. თუ ვინმეს ნამდვილად სურს მისი ნახვა, გზას დაადგეს და მივიდეს მასთან და იქ, ხალხის საზოგადო აზრისაგან თავისუფალი შეძლებს არამხოლოდ დანახვას, არამედ მისი ხმის მოსმენასაც, მსმენელის გულს რომ ელაპარაკება.

15 იანვარი

რიგითი I კვირა [I], მწ

2021 პარასკევი

ებრ 4,1-5.11; ფს 77; მარ 2,1-12

ადექ, აიღე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში მარ 2,11

იესო იმყოფება სახლში დიდძალი ხალხით გარშემორტყმული და ხედავს, ოთხი კაცი როგორ უშვებს ჭერიდან დავრდომილს. იესო ხედავს მათ რწმენას და უცხადებს სნეულს ცოდვათა მიტევებას. და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ხელეწიფება მას, განკურნავს კიდეც დავრდომილობისაგან.
დიდი და ღრმაა შენი სიყვარული, იესო, რაკი არამხოლოდ ხორციელად სნეულებს ამჩნევ! ამათ განკურნებასაც ძირიდან იწყებ, მათი სულიდან.

16 იანვარი

რიგითი I კვირა [I], მწ

2021 შაბათი

ებრ 4,12-16; ფს 18; მარ 2,13-17

მთელი ხალხი დაიძრა მისკენ, და ასწავლიდა მათ მარ 2,13

იესო, შენი თანალმობა და სიბრძნე ამოუწურავია. შენ კვლავაც გვმოძღვრავ და ნათელსა ჰფენ ჩვენს ცხოვრებასა და ჩვენს ურთიერთობებს შენს წმიდა ეკლესიაში! აჰა, მეც გამომძერწე. მივხვდი, რომ მხოლოდ შენ ანიჭებ ჩემ ცხოვრებას მშვენიერებას, სიწმიდეს, სიხარულს.

17 იანვარი

რიგითი II კვირადღე, «ბ», [II], მწ

2021 კვირა

1მეფ 3,3-10.19; ფს 39; 1კორ 6,13-15.17-20; იო 1,35-42

იესო შემობრუნდა და უთხრა მათ: „რას ეძებთ?“ იო 1,38

მეც ვეძებდი. ჩემი ძიება დასრულდა მაშინ, როცა ვიპოვე იესო და ცხოვრება ჩავაბარე მას. კვლავ მას ვუძღვნი თავს, დღენიადაგ, და ამის გამო კმაყოფილი ვარ, რომ კვლავაც მეკითხება: „რას ეძებ?“ ჩემი ამპარტავნება ხომ საკუთარი დიდების საძებრად მიბიძგებს...

18 იანვარი

2021 ორშაბათი

ებრ 5,1-10; ფს 109; მარ 2,18-22

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

„ძე ხარ შენ ჩემი, დღეს გშობე შენ“ ებრ 5,5

ებრაელთა მიმართ წერილს მოჰყავს მეორე ფსალმუნის სიტყვები, რომელიც ღვთის ძედ წოდებული მეფის ინკორონაციას უკავშირდება. იესოა ნამდვილი მეფე, ნამდვილი ძე მამისა, მღვდელმთავარივით რომ შუამდგომლობს თავის ძმებს. დღეს შევთხოვთ მას, შეახორცოს ჩვენ, ქრისტიანებს შორის არსებული განყოფანი, სიცოცხლეს რომ ართმევს წუთისოფელში ჩვენს მოწმეობას.

19 იანვარი

2021 სამშაბათი

ებრ 6,10-20; ფს 110; მარ 2,23-28

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
უფლის ნათლისღება საქ. მართლ. ეკლესიაში

ძე კაცისა შაბათის უფალიც არის მარ 2,28

გიცდია იესოსათვის შენს გულში პირველი ადგილი დაგეთმო? ერთი წამით გეცხოვრა მისთვის, მისი მზერის ქვეშ? ეჭვგარეშეა დააგემოვნებდი დიად თავისუფლებას, და დიადი სიბრძნე გაგახარებდა მისი მცნებების შესრულებისას: შეგიძლია განახორციელო ისინი ცხოვრებაში სიყვარულითა და სულიწმიდის სიხარულით, შვილობრივ ნდობაში.

20 იანვარი

2021 ოთხშაბათი

რიგითი II კვირა [II], მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამ. IIIს
წმ. სებასტიანე, წამ., +~304

ებრ 7,1-3.15-17; ფს 109; მარ 3,1-6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

შუაში დადექ! მარ 3,3

იესო მასწავლის გარჩევას. შუაგულში მუდამ რჩება ღვთის საყვარელი ადამიანი და არასოდეს რაიმე წესი, თუნდაც რელიგიური კანონი და მით უმეტეს ვინმეს ინტერესები. მე მუდამ იესოს საზომს ვიყენებ: მამის სიყვარულს ადამიანისადმი.

21 იანვარი

2021

რიგითი II კვირა [II]

(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ. +786 (მ), წ
წმ. აგნესა ქალწ. წამ., +304 (მ), წ

ხუთშაბათი

ებრ 7,25 - 8,6; ფს 39; მარ 3,7-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ყველა სნეული აწყდებოდა, რათა შეხებოდა მას მარ 3,10

ხალხი ეძებდა იესოს და პოულობდა მასში ნამდვილ სიბრძნესა და კურნებას. სნეულებს სწამდათ, რომ მისი შეხებით განიკურნებოდნენ და ასეც ხდებოდა. უფალო, კვლავაც მიანიჭე სნეულთ შენს ეკლესიაში შენი ყოფნის რწმენა, შენს ეკლესიასა და ყოველ ქრისტიანს კი გაყოფის იარათაგან განკურნება.

22 იანვარი

2021

რიგითი II კვირა [II], მწ

წმ. ბიკენტი, მოწ. დიაკ. + 303

პარასკევი

ებრ 8,6-13; ფს 84; მარ 3,13-19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იესო ავიდა მთაზე მარ 3,13

იესო ირჩევს თორმეტს, რათა დასაბამი მისცეს ღვთის ახალ ერს. სრულიად კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი არჩევანია ეს. ამიტომაც მძიმედ ადის, როგორც შემდგომში არ იქნება იოლი გოლგოთაზე ასვლა. წინასწარმეტყველება? მოციქულები დაეხმარებიან მას, თუმცა მათგან დიდ ტანჯვასაც იწვნევს იგი. შევუერთდეთ მას, რათა ჩვენც გვტკიოდეს დაყოფა, წმიდანთა მოწმეობას რომ ეღობება.

23 იანვარი

2021 შაბათი

ებრ 9,2-3.11-14; ფს 46; მარ 3,20-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ამბობდნენ, შეიშალაო მარ 3,21

თვალსაფარებით ცხოვრება იოლია, უფლის თვალსაწიერი კი უკიდეგანო. როდესაც რაიმე სიახლე გაგვაკვირვებს ხოლმე, არ ვიჩქარებთ მის მოშორებას. ლოცვაში ვითხოვთ ნათელს; შესაძლოა უფალს სურს, რომ „ჩვენი თავიდან გამოგვიყვანოს“, ჩვენი ეგოიზმიდან, რათა ახალი თვალსაწიერი გაგვიხსნას საკუთარი თავისაგან თავისუფალთ იესოს მსგავსად!

24 იანვარი

რიგითი III კვირადღე, «ბ», [III], მწ

ღვთის სიტყვის კვირადღე

2021 კვირა

იონ 3,1-5.10; ფს 24; 1კორ 7,29-31; მარ 1,14-20

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

მოახლოვდა ღმრთის სასუფეველი მარ 1,15

იესოსთან ერთად ჩვენ, მისი ეკლესია სიხარულით ვაუწყებთ რომ ჩვენ შორისაა იგი, ნამდვილი მეფე. დაჰყვე მას, ესაა ნამდვილი სიცოცხლის წყარო, სიყვარულისა და მშვიდობის გზით სიარული, ქმედითად თანამშრომლობა იმ ერთობის აღსასრულებლად, რომლისთვისაც ამ კვირის მანძილზე ვლოცულობთ.

25 იანვარი

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

2021 ორშაბათი

საქმ 22,3-16 ან საქმ 9,1-22; ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული

არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

წადით, მოიარეთ მთელი ქვეყანა და უქადაგეთ სახარება მარ 16,15

ესაა დავალება, აღმდგარი იესო რომ აკისრებს თერთმეტს; ეს მისია წმიდა პავლემ, რომელიც იესომ დაიპყრო, როდესაც ის ეკლესიას დევნიდა, აღასრულა მთელი თავისი ძალებით, საკუთარი თავის შეწირვამდე; ესაა ის, რაც შენცა და მეც გვმართებს, მისი ეკლესიის, იესო ქრისტეს სხეულის ცოცხალ წევრებს. წმიდაო პავლე, იგალობე ღმრთის დიდება
და ილოცე ჩვენთვის.

26 იანვარი

2021

რიგითი III კვირა [III]

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპ. I ს. (მ), [ს], თ

სამშაბათი

2ტიმ 1,1-8, ან, ტიტ 1,1-5; ფს 95; ლკ 10,1-9

ნუ გრცხვენია ჩვენი უფლის მოწმობისა 2ტიმ 1,8

როდესაც ამა თუ იმ რამით ვარ კმაყოფილი, მაშინაც კი, როცა სხვები არ იზიარებენ ამას, ჩემი სიხარული ხელუხლებელი რჩება და გამოსჭვივის. და თუკი კმაყოფილი ვარ იესოთი, თუკი იგი მინათებს ცხოვრებას, რად დავმალო ეს? სადმე ლოდინისას თუ გადავშლი ჩემ ჯიბის სახარებას, ან მობილურიდან წავიკითხავ, ამგვარად ვკვებავ რწმენის სიხარულს, უსიტყვოდაც, იესოს ძალუძს მაქციოს თავისი მშვიდობის მატარებლად. შენც ნუ შეგრცხვება: იესო შენც მიგავლენს!

27 იანვარი

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი, ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ

წმ. ანჯელა მერიჩი, ქალწული +1540

2021 ოთხშაბათი

დაბ 12,1–7; ფს 95; 1კორ 1,26–31; მარ 16,15–20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

სიტყვას მარ 16,20ბ

თუკი მიწაზე ჩავარდნილი მარცვალი ზედაპირზე დარჩა, ვერ გაღვივდება და ვერ მოიტანს ნაყოფს. ასევეა იესოს სიტყვაც, თუკი ის არ შევინახეთ გულში მზრუნველობითა და სიბეჯითით, უნაყოფო დარჩება. ეშმაკის მიზანიც ესაა და ხან სიზარმაცითა და ხანაც სიჩქრით, ხან იმის გამო თუ რას იტყვის ხალხი ანდა, რას ამბობს უკვე, ხელს გვიშლის სიყვარულით დავუგდოთ ყური ღვთის სიტყვას. წმიდაო ნინო, კვლავ უქომაგე შენს საქმეს საქართველოში!

28 იანვარი

2021

რიგითი III კვირა [III]
წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ., +1274(მ), თ;
(15.I)წმმ. სალომე უჯარმელი და პეროჟავრ სივნიელი, IVს
წმ. არჩილ მეფე, წამებული, +774

ხუთშაბათი

ებრ 10,19-25; ფს 23; მარ 4,21-25

ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინოს! მარ 4,23

იესო, ვისაც ჯერ არ სმენია შენი სიტყვა, მიეცი ყური სმენად! მსურს ჩემს ლოცვას ის შესაწირავი დავურთო, შენ რომ მასწავლე, რომელიც მოსაწონია მამისთვის; ვეტყვი მას: „აჰა, მე!“, მთელი დღის მანძილზე.

29 იანვარი

რიგითი III კვირა [III], მწ

2021 პარასკევი

ებრ 10,32-39; ფს 36; მარ 4,26-34

მოთმინებაღა გმართებთ, გამძლეობა ებრ 10,36

გამძლეობა შედგება გადაწყვეტილებისა და მოთ-
მინებისაგან: გადაწყვიტო, რომ განაგრძობ სირთუ-
ლეებშიც კი, ენდო და უერთგულო იმას, რომლის
სიყვარულსაც ვუწყით; მოთმინება იმ ნაყოფის
მოლოდინში, რომელიც ჯერ არ ჩანს, არადა, არის
და იზრდება, როგორც გვეუბნება დღევანდელი
სახარება. გამძლეობა „ამწიფებს“ ჩვენს რწმენას,
ავსებს მას და ანიჭებს ღირსებას.

30 იანვარი

2021 შაბათი

ებრ 11,1-2.8-19; გალ. ლკ 1,68-75; მარ 4,35-41

რატომ ხართ ასე მოშიშარნი? რატომ არა გაქვთ რწმენა? მარ 4,40

იესოს სძინავს. იგი თავის მოწაფეებთან ერთადაა ნავში, როცა ამოვარდა ქარიშხალი. ისინი შეშინდნენ და აღვიძებენ მას, დასახმარებლად. იესო ეუბნება: „რატომ არა გაქვთ რწმენა?“
ხშირად ვგავართ ხოლმე ამ მოწაფეებს: მათაც შეეძ-ლოთ წყნარად ძილი. სულო წმიდაო, შენ შეგვეწევი ვიმედოვნოთ რთულ მომენტებშიც!

31 იანვარი

რიგითი ჟამის IV კვირადღე, «ბ», [IV], მწ

2021 კვირა

რჯლ 18,15-20; ფს 94; 1კორ 7,32-35; მარ 1,21-28

სალელთა კონგრეგაციის დღესასწაული

უკვირდათ მისი მოძღვრება მარ 1,22

იესო საუბრობდა სიყვარულით: სიყვარულით მამისა და მსმენელთა მიმართ. ყველა გრძნობდა, რომ ხელმწიფებით საუბრობდა, ანუ, იმაზე დაყრდნობით, ვისი ხელიდანაც გამოვიდა ყველაფერი. რწმენითა და სიყვარულით მოსაუბრე მუდამ საკვირველია.

უფალო იესო, შენი მოძღვრება იყო ახალი: შენი სიტყვები იძლეოდა ნათელს, სიცოცხლის სანდო ორიენტირსა და ძალას. შენ იყავი სული წმიდით სავსე! მიანიჭე დღეს შენი ეკლესიის მწყემსებს იგივე სული, რათა მათმა სიტყვამაც მოგვაწოდოს მარადიული სიცოცხლე ჩვენ, შენს საყვარელ კრავებს!